

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

### საქართველოს კანონში „ამინისტრის შესახებ“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია სახელმწიფოს მხრიდან მოწყობის და ჰუმანურობის გამოჩენის აუცილებლობა, დამნაშავეთათვის მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის პრინციპის ჩანერგვის მიზნით.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიზანია

კანონპროექტის მიზანია ჰუმანური აქტის, კერძოდ ამინისტრის საშუალებით მოახდინოს მსჯავრდებულთა წახალისება. ცალკეულ შემთხვევებში სასჯელის და წახალისების ერთდროული გამოყენება ეფექტური საშუალებაა სასჯელის მიზნების მისახწევად. კანონპროექტის მომზადებისას მხედველობაში იქნა მიღებული საზოგადოების უსაფრთხოების დაცვის ინტერესი და ამინისტრია ვრცელდება იმ სახის დანაშაულებში მსჯავრდებულ პირებზე რომლებიც მათი ქმედების ხასიათის გამო ნაკლებად საშიში არიან საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოებისათვის.

##### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ პირებზე რომლებმაც შესაბამისი დანაშაულები ჩაიდინეს 2010 წლის 8 მარტამდე.

#### ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

##### ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით სახსრების გამოყოფას.

*ბ.ბ) კანონპროექტის გაელენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:*  
კანონპროექტის მიღება არ იქონიებს უარყოფით გაელენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

*ბ.გ) კანონპროექტის გაელენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:*  
კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

*ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:*  
კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

*ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:*  
კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ ვალდებულებებს.

*ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):*  
კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული იმ პირების ფინანსურ ვალდებულებებთან, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

*გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.*  
კანონპროექტი თანხმობაშია სამართლებრივ სტანდარტებთან.

*გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:*  
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

*გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:*  
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღიარებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:  
ასეთი არ არსებობს

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.გ) კანონპროექტის ავტორი  
კანონპროექტის ავტორია -პ/გ „ქართული დასი,,

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი --- ჯონდი ბალათურია.